საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-01/4611
08/12/2025

4611-01-2-202512081348

სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“

საქართველოს ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს კანონის უზენაესობის პრინციპებით და უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული საჯარო ინფორმაციის იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას.

საქართველოს ეროვნული ბანკი, ოფიციალური ვებ გვერდის (www.nbg.gov.ge.) მეშვეობით აქვეყნებს საბანკო-საფინანსო სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველ ინფორმაციებს, მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტებს, სხვადასხვა მიმოხილვებს და პრესრელიზებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში სისტემატურად განათავსებს საჯარო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთების, მონეტარული პოლიტიკის, ბანკნოტების და მონეტების, საგადახდო სისტემების და ასევე სხვა სტატისტიკური ინფორმაციების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2025 წლის ანგარიშს:

საჯარო დაწესებულებაში შემოსული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ეროვნულ ბანკში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის 2926 მოთხოვნა, მათგან 73 მატერიალური ფორმით, ხოლო 2853 - ელექტრონული ფორმით. მატერიალური ფორმით შემოსული მოთხოვნებიდან დაკმაყოფილდა 72 მოთხოვნა, 1 მოთხოვნა გაგზავნილ იქნა შესაბამის დაწესებულებაში, რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს. ელექტრონული ფორმით შემოსული მოთხოვნებიდან დაკმაყოფილდა ყველა მოთხოვნა. მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე ეროვნულ ბანკში 2025 წელს არ შემოსულა. შესაბამისად, შესწორებები საჯარო ინფორმაციაში არ განხორციელებულა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

თანდართული ცხრილით (დანართი N1) წარმოგიდგენთ ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების დაკმაყოფილების გადაწყვეტილებათა რაოდენობისა და გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების შესახებ.

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

საქართველოს ეროვნულ ბანკში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამა, რის შედეგადაც აღნიშნულ პროგრამებში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ:

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება არ განხორციელებულა.

იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას:

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება არ მიღებულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ მომხდარა.

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ:

გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად - თანხები არ გადახდილა.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა და და გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობები

თანამდებობა	**საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების რაოდენობა**	**საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებათა რაოდენობა**
პრეზიდენტი	4	
ვიცე-პრეზიდენტი	7	
აღმასრულებელი დირექტორი	13	
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი	20	1 გადაგზავნილ იქნა სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	18	
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	7	
ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის უფროსი	3	
მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი	1	
საქართველოს ეროვნულ ბანკში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედებისა და ევროკავშირის სამართალთან დაახლოების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი	61 ელექტრონული ფორმით	
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	30 ელექტრონული ფორმით	

ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი	8 ელექტრონული ფორმით	
საგადახდო სისტემების დეპარტამენტის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის განყოფილების უფროსი	98 ელექტრონული ფორმით	
მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი	47 ელექტრონული ფორმით	
სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი	80 ელექტრონული ფორმით	
ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1600 ელექტრონული ფორმით	
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი	14 ელექტრონული ფორმით	
მაკროეკონომიკის და სტატისტიკის დეპარტამენტის მონეტარული სტატისტიკის განყოფილების უფროსი	158 ელექტრონული ფორმით	
მაკროეკონომიკის და სტატისტიკის დეპარტამენტის მაკროეკონომიკური კვლევების განყოფილების უფროსი	9 ელექტრონული ფორმით	
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის განყოფილების უფროსი	8 ელექტრონული ფორმით	
რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტის უფროსი	12 ელექტრონული ფორმით	
ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი	5 ელექტრონული ფორმით	
საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი	16 ელექტრონული ფორმით	
ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტის უფროსი	162 ელექტრონული ფორმით	

საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის, ნაღდი ფულის მიმოქცევისა და ფულის ნიშნების დამზადების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	463 ელექტრონული ფორმით	
ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის უფროსი	2 ელექტრონული ფორმით	
საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი	80 ელექტრონული ფორმით	